



2016 წელი

პროფესიული ორიენტაციისა და წინა
პროფესიული უნარების განვითარების
სერვისების ეფექტურობის კვლევა



საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია

შინაარსი

კვლევის მეთოდოლოგია	3
შესავალი	5
ზოგადი ინფორმაცია სერვისის შესახებ.....	6
1. პროცესის შეფასება.....	7
2. სერვისის ეფექტურობის და შედეგების შეფასება	15 14
3. კვლევის მიგნებები და სერვისის გაუმჯობესების გზები	18 17
დანართები.....	22 21

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი და ამოცანები

წინამდებარე კვლევის მიზანია განისაზღვროს, რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტრანზიციის დაგეგმვა სკოლიდან პროფესიულ განათლებაში.

კვლევის ფარგლებში გაანალიზდა, თუ როგორ მიმდინარეობდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი და რა შედეგები ქონდა აღნიშნულ სერვისს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

ასევე, კვლევის შედეგად შეფასდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პილოტირებული წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისის ეფექტურობა და მისი შედეგები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

კვლევის ამოცანებია:

- ✓ შეფასდეს სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ტრანზიციის საკითხი;
- ✓ შესწავლილ იქნას წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისის ეფექტურობა.

თვისებრივი კვლევა

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. პროფესიული ორიენტაციისა და წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისების სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, კვლევის ფარგლებში ჩატარდა:

- ✓ ფოკუს-ჯგუფები სერვისის მიმღებებთან და მათ მშობლებთან და ფოკუს-ჯგუფები სერვისის მიმწოდებლებთან სერვისების ეფექტურობის დადგენის მიზნით;
- ✓ ჩარმავებული ინტერვიუები წინასწარ შერჩეულ რესპონდენტებთან, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან;

კვლევის სახელმძღვანელოები შემუშავდა საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ და შეთანხმდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ჩარმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელოს გამოყენებით ჩატარდა 12 ჩარმავებული ინტერვიუ რესპონდენტებთან.

- ✓ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შემდეგ წარმომადგენლებთან: პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული

განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი,
პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სპეციალისტი;

- ✓ "დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების"
პროექტის ექსპერტი,
- ✓ შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების
დეპარტამენტის უფროსი,
- ✓ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური,
- ✓ მხარდამჭერთი დასაქმების კონსულტანტი,
- ✓ პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი და ექსპერტი.

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელოს (დანართი #2) გამოყენებით ჩატარდა სერვისით მომხმარებელთა - მათი მშობელთა და სერვისის მიმწოდებელთა 8 ფოკუს-ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 8 მონაწილე იყო.

თითოეული ჯგუფისათვის ჩატარებისათვის საწყის ეტაპზე გახორციელდა მოანაწილეთა რეკრუტირება თბილისის 10 საჯარო სკოლასა და სოციალურ საწარმო „ბაბალეში“.

ადგილზე მონაწილეებთან შეთანხმება, თანახმა იყვნენ თუ არა მონაწილეობა მიეღოთ ფოკუს ჯგუფებში. მონაწილეებმა უფრო სიღრმისეულად ისაუბრეს პროფესიული ორიენტაციისა და წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისების ეფექტურობაზე.

ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსია (ფოკუს ჯგუფი) – არის თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის მოდერატორის მიერ წარმოდგენილი საკითხების ჯგუფურ განხილვას. მოდერატორი ხელს უწყობს საკვლევ საკითხებზე ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური მოსაზრებების გამოხატვას, ჯგუფის წევრების რეაგირებას ერთმანეთის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე და ჯგუფური განხილვის მეთოდით გამოთქმული მოსაზრებების დახვეწას.

დასახული მიზნებისა და საკვლევ საკითხების გათვალისწინებით შემუშავდა ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო, რომლის მიხედვითაც ჩატარდება ფოკუს ჯგუფები.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა სპეციალური ტექნიკით აღჭურვილ ოთახში, სადაც რესპონდენტებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე მოხდა ჯგუფური დისკუსიის აუდიო ჩაწერა, მიუხედავად ამისა რესპონდენტთა ანონიმურობა სრულიად დაცული იყო. საკვლევ საკითხების მოცულობიდან/თავისებურებიდან გამომდინარე თითოეული ჯგუფის ხანგრძლივობა 1-საათით განისაზღვრა.

ფოკუს ჯგუფების დასრულების შემდეგ აუდიო ჩანაწერების საშუალებით ჯგუფური დისკუსიების დეტალური ტრანსკრიპტი მომზადდა და გახორციელდა მონაცემთა დამუშავება ძირითადი ტენდენციების თვისებრივი ასპექტების გამოვლენის მიზნით. ამის საფუძველზეც გაკეთდა ფოკუს ჯგუფების ანალიზი.

შესავალი

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა

- რა ღონისძიებებს ახორციელებს საჯარო სკოლა მოზარდების მომზადებისათვის პროფესიულ სასწავლებელში გადასასვლელად და ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად;
- რა საჭიროებები არსებობს აღნიშნული პროცესის ორგანიზებისას და რამდენად მორგებულია აღნიშნული სერვისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებზე;
- სკოლიდან პროფესიულ სასწავლებელში სსსმ მოსწავლეების ტრენინგის პროცესთან დაკავშირებით მშობლების დამოკიდებულების შეფასება;
- რა ნაბიჯები იგეგმება პროფესიული ორიენტაციის სერვისის განვითარებისათვის.
- წინა პროფესიული უნარების განვითარების პროცესი, რამდენად ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა საჭიროებებს;
- რა მიზნები იყო განსაზღვრული წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისის ფარგლებში და რამდენად არის მიზნები მიღწეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში;

პროექტის განმახორციელებლებთან და სერვისის მიმღებ პირებთან შეჯამდა სერვისის შედეგები და მათი ეფექტურობა და განისაზღვრა აღნიშნული სერვისის მიწოდების გაგრძელებისა და მასშტაბების საჭიროება და მნიშვნელობა.

კვლევის ფარგლებში თვისებრივი ანალიზი და სერვისის ხარისხობრივი შეფასებები გაკეთდა სხვადასხვა საკვლევი ობიექტების მიერ. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა, როგორც სერვისის მიმწოდებლებთან, მასწავლებლებთან და პროფესიული კოლეჯის პროფორიენტაციის მენეჯერებთან, ასევე სერვისის მიმღებებთან მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. ასევე მნიშვნელოვანია რომ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შშმ პირების და მათი მშობლების შეფასებებზე. კვლევის ფარგლებში ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა დარგის ექსპერტებთან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებიდან ასევე არასამთავრობო და დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

ზოგადი ინფორმაცია სერვისის შესახებ

საქართველო ევროპის ქვეყნების მსგავსად აღიარებს განათლების უწყვეტობის და განათლების ერთი საფეხურიდან შემდეგზე მოქნილი ტრანზიციების მნიშვნელობას. აღნიშნული მიდგომის ეფექტური რეალიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარებაზე. შესაბამისად, ქვეყნისთვის პრიორიტეტულია პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სერვისის დანერგვა. პოლიტიკის დანერგვისათვის შემუშავებულია მთავრობის დადგენილება საქართველოში უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის საყოველთაოდ ხელმისაწვდომი მომსახურების განვითარების კონცეფციისა და 2015-2017 წლებში მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის სახით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში შეიქმნა პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველო, რომელიც ახორციელებს „პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას“.

პროგრამის მიზანია IX და XI კლასის მოსწავლეებს დაეხმაროს საკუთარი ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით სწორი პროფესიის არჩევაში.

2015-2016 სასწავლო წლებში პროგრამა დაინერგა 890 საჯარო სკოლაში. სკოლებში პროგრამის უშუალო განმახორციელებელი და პასუხისმგებელი პირი მასწავლებელია, რომელიც თვეში ერთხელ მოსწავლეებთან მართავს სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებს. შეხვედრების მიზანია გააცნოს მოზარდებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის არსი, მიაწოდოს მათ ინფორმაცია პროფესიების, მათი მახასიათებლების და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, გააცნოს პროფესიის არჩევის დროს მისი მოთხოვნების გათვალისწინების მნიშვნელობა. ამავდროულად, ინკლუზიური პროფესიული განათლების ოთხწლიანი გამოცდილების საფუძველზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც უკავშირდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უწყვეტი განათლების სისტემაში ჩართულობას, მათ შეუფერხებელ ტრანზიციას შემდგომ ეტაპზე განათლების ერთი საფეხურის დასრულებისას, პროფესიულ ორიენტაციას და ინფორმირებულ გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა წინაპროფესიული უნარების გაძლიერების, ტრანზიციის, პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის გამართული მექანიზმის დანერგვა. ამ მიზნით, 2015-2016 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დამატებით შეიქმნა წინა პროფესიული უნარების განვითარების სერვისი, რომელიც უზრუნველყოფდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდთა ბაზისური აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარების წახალისებას და პროფესიულ ორიენტაციას. პილოტურ სერვისში ჩართული იყო 20 მოზარდი, მათ შორის 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი.

1. პროცესის შეფასება

პროფესიული ორიენტაციის სერვისის 2015 წლიდან მიწოდება 900-მდე საჯარო სკოლის მოსწავლეებს საქართველოს მასშტაბით. დროთა განმავლობაში პროგრამა ვითარდებოდა და მიმდინარე ეტაპზე მიუხედავად მისი ცალსახა მნიშვნელობისა და საჭიროების კვლევის შედეგების თანახმად ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი ხარისხის და საჭიროებს საგულისხმო გაუმჯობესებას.

სერვისის მიმწოდებლების მასწავლებლების შეფასებით პროგრამა არაერთმნიშვნელოვნად დადებითად შეფასდა ფოკუსჯგუფებზე. ზოგიერთის აზრით პროცესი ნაწილობრივ ეხმარება მოსწავლეებს სწორი პროფესიის არჩევაში და ამ სერვისის არსებობა კარგია. ზოგადად ამ პროგრამის დანერგვის მნიშვნელობას და საჭიროებას ერთხმად ადასტურებს ყველა რესპონდენტი. პროფესიის არჩევა მათი აზრით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა ახალგაზრდის ცხოვრებაში და მსგავსი სერვისის არსებობა ცალსახად მნიშვნელოვანია. მაგრამ არის რიგი პრობლემები თავად გაკვეთილის პროცესში.

მასწავლებლები აღნიშნავენ ფოკუსჯგუფზე, რომ დასაწყისში ინტერესი დიდი იყო მონაწილეთა მხრიდან და აქტიურობაც, მაგრამ შემდეგ ეტაპზე როდესაც მოსწავლეებს უკვე უშუალოდ უნდა დაეწერათ პროექტი, მათთვის უკვე ძალიან უინტერესო გახდა და გაკვეთილზე დასწრებამ და ჩართულობამ მნიშვნელოვნად იკლო.

”როდესაც შევედი გაკვეთილზე, ერთი რაც იყო მოსწავლეებისთვის უცხო და რამაც გამოიწვია მათი დაინტერესება, იყო ტერმინი პროფორიენტაცია. ნაწილი მიხვდა რაზე იყო საუბარი, ხოლო ნაწილი გაისუსნენ, რომ მიმხვდარიყვნენ რას ნიშნავდა პროფორიენტაცია. როდესაც მიხვდნენ რომ იგივე რამეზე უნდა ისაუბრონ რაზეც აქამდე საუბრობდნენ, დარჩა მხოლოდ რამოდენიმე ბავშვი, რომელიც დაინტერესებული იყო იმით, გაეგო თუ როგორ შეერჩია მისთვის სასურველი პროფესია.”- განაცხადა ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელმა ფოკუს ჯგუფზე.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე რომ მონაწილეებიც იაზრებენ და ათვისებენ სერვისის მნიშვნელობას, მაგრამ პროცესი არ პასუხობს მათ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. სკოლის მასწავლებლების შეფასებით, ეს იმით არის განპირობებული რომ არ ხდება პროცესში მოსწავლეების შეფასება და პრაქტიკული აქტივობების შეთავაზება.

„საქართველოში ვერაფერს ვერ აღწევს მაგ დაგეგმილ მიზნებს, რადგან პრაქტიკაში არ მუშაობს არაფერი. რომელიმე ბავშვი დამისახელეთ რომელმაც იცის სად უნდა ჩააბაროს და რა უნდა გამოვიდეს გააზრებულად. ათასში ერთი ალბათ.“ განაცხადა ერთერთი მოსწავლის მშობელმა ფოკუს ჯგუფზე.

სკოლის პედაგოგების ერთი ნაწილის აზრით არის არაჩვეულებრივი საგანი და მათ სიამოვნებთ ამ საგანზე მუშაობა. მონაწილეებს მათი თქმით, აქვთ მზაობა და მიმდებლობა ამ სერვისის მიმართ.

„თუმცა ძალიან კარგი პროექტია, მაგრამ დასახვეწია. კარგი იქნება თუ წიგნი იქნება უფრო ბევრი აქტივობებით. უფრო მეტი აქტივობები უნდა შესთავაზონ მასწავლებელს.“

ჩვეულებრივი გაკვეთილისგან განსხვავებული უნდა შევთავაზოთ მოსწავლეებს, იმისათვის, რომ უფრო დაინტერესდნენ და ქონდეთ დასწრების სურვილი.“ განაცხადა ფოკუს ჯგუფზე სერვისის მიმწოდებელმა მასწავლებელმა.

სერვისის მიმღებების ფოკუს ჯგუფზე მოსწავლეების აზრით დადასტურდა, რომ სერვისი ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროა მათთვის. ასევე ისინი აღნიშნავენ, რომ უპირატესი იქნება თუ მსობელი აღარ ჩაერევა მოსწავლის პროფესიის არჩევაში და მისცემს გადაწყვეტილების თავისუფლებას - თავად აირჩიოს საკუთარი პროფესია.

„მშობლებს ვურჩევდი, რომ შვილებს არჩევანის თავისუფლება მოგვცენ. მოსწავლე გაკვეთილზე აღარ იფიქრებს, უკვე დედაჩემმა სხვა პროფესია ამირჩია და თქვენ აღარ მოგისმენტო. ბავშვები არ უნდა იყვნენ სხვების გავლენის ქვეშ.“ განაცხადა ფოკუს ჯგუფზე მონაწილე მოსწავლემ.

სკოლის მოსწავლეების აზრით სერვისი უნდა იყოს სავალდებულო და უფრო ხანგრძლივი ასევე უკეთესი იქნებოდა ისწავლებოდა, როგორც სასწავლო პროგრამა.

პედაგოგების აზრით პროგრამა უნდა იყოს ვიზუალურად აღქმადი და სიმულაციური აქტივობებით დატვირთული, იმისათვის, რომ მოზარდს გაუჩნდეს სურვილი გაკვეთილზე დასწრების და ინტერესი რომელიმე კონკრეტული პროფესიის მიმართ.

„უნდა გავითალისწინოთ, რომ 21-ე საუკუნის ბავშვები არ არიან ისეთები როგორებიც ჩვენ ვიყავით. ისინი დროს უსწრებენ. როდესაც შევდივარ მათთან ისე ჩანს რომ ისინი უკვე ჩამოყალიბებულები არიან. როცა ვუხსნი სამოქალაქო განათლებას მათ უკვე იციან ეს და მათ ამის შესახებ თავიანთი დამოკიდებულება და ხედვა გააჩნიათ.“ - აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ - მასწავლებელმა.

პროგრამის ფარგლებში სკოლებში ტარდება სასწავლო ვიზიტები ე.წ. ექსკურსიები, ძირითადად „მაცდონალდსში“ და „სანტეში“, მიუხედავად იმისა, მოსწავლეებს აინტერესებთ თუ არა ეს საწარმოები. მწირი და შეზღუდული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე აღნიშნული აქტივობის ხარჯი სკოლის დასაფარია და შესაბამისად სკოლა ირჩევს ისეთ ბიზნესერთეულს, სადაც მოსწავლეთა მიყვანა დამატებით ხარჯებს არ უკავშირდება. სასწავლო ვიზიტებზე საწარმოების წარმოადგენლები აცნობენ მოსწავლეებს საწარმოო პროცესს, დასაქმების პერსპექტივებს, სამუშაო გარემოს, მათ მოთხოვნებს კადრებთან მიმართებაში და ა.შ.

მასწავლებლების აზრით სასწავლო ვიზიტები და ექსკურსიები ძალიან მნიშვნელოვანია, მონაწილეები თავად ნახულობენ ადგილზე სამუშაო გარემოს და წარმოადგენენ ან ვერ საკუთარ თავს ამ პროფესიაზე. თუმცა სასურველია მოსწავლეთა ინტერესების სფეროს გათვალისწინებით დაიგეგმოს შესაბამისი სასწავლო ვიზიტები რელევანტურ ბიზნეს სფეროში.

როდესაც ბავშვები არიან ძალიან დაღლილები, შესაბამისად, ბავშვებს არ აქვთ დასწრების სურვილი და სახლში ეჩქარებათ. ასევე პრობლემას წარმოადგენს, რომ სერვისი იშვიათად მიეწოდება დაინტერესებულ ახალგაზრდებს და გამოყოფილი დრო არ არის საკმარისი პროფესიების სრულად აღსაქმელად.

სერვისის მიმღებების და მშობლების თქმით ერთ-ერთ ფოკუსჯგუფზე დაბალი ინფორმირებულობა პროფორიენტაციის პროგრამის შესაძლებლობაზე სკოლებში გამოვლინდა. მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა და მითუმეტეს მშობლებმა არც კი იცოდნენ მსგავსი პროგრამის არსებობის შესახებ.

„მე როგორც ვიცი შორიდან, მანდატურის სამსახური ახორციელებს რაღაცას. ჯგუფურად მიყავს ბავშვები სადღაც და მოყავს. იქ წასული და იქიდან დაბრუნებული მე არავინ მინახავს. უბრალოდ ამბავი ვიცი, რომ მათ ევალუაბთ ეს. ამის იქით არაფერი არ ვიცი.“ - აცხადებს ფოკუსჯგუფის მონაწილე [სერვისის მიმღები](#) მშობელი.

„პრაქტიკაში იქ წასული ბავშვი, რომელსაც რაღაც ინფორმაცია მიეღო და გაეგო არ მინახავს. მითუმეტეს მაგიტომ გადაეწყვიტა და აერჩია, რომ გამხდარიყო ელექტრიკოსი ან მშენებელი არც გამიგია.“ - აცხადებს ფოკუსჯგუფის მონაწილე [სერვისის მიმღები](#) მშობელი.

„რომელ პროგრამას გულისხმობთ? როგორ გითხრათ, კარგად არ ვიცნობთ. მიუხედავად იმისა რომ ჩვენ რაღაც განვახორციელეთ განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის პროგრამა თუ არსებობდა ეხლა პირველად მესმის.“ - [თქვა ფოკუსჯგუფზე მშობელმა](#)

ფოკუსჯგუფებზე გამოვლინდა, რომ სერვისის მიმწოდებლები სკოლებში თვლიან რომ პროფორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა სჭირდება მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს, რომლებიც მათი თქმით უმაღლეს სასწავლებელში მაინც ვერ მოხვდებიან და ჯობია პროფესიულ კოლეჯში ჩააბარონ. პროფესიული სასწავლებლების პროფორიენტაციის მენეჯერები აღნიშნავენ, რომ სკოლაში ამ სერვისს მასწავლებლები მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს სთავაზობენ, და არა ყველას თანაბარზომიერად, ვისაც შეიძლება აინტერესებდეს პროფესიული სწავლება.

[„ერთ-ერთმა სასწავლო ნაწილმა პრეზენტაციის დროს ერთ-ერთ მოსწავლეს მიმართა და უთხრა, რომ შენი ბოლო მაინც მანდ არის და უსმინეო. აი, სასწავლო ნაწილმა მიმართა ბავშვს რომელიც ყველაზე მეტად ხმაურობდა და ვინც მათი თქმით „გაგდების კანდიდატი“ იყო. აი თვითონ სკოლის დირექტორებს და სასწავლო ნაწილებს აქვთ არასწორი და ასეთი დამოკიდებულება.“](#) განაცხადა პროფორიენტაციის მენეჯერმა ფოკუსჯგუფზე.

შესაბამისად, ეს ფაქტი იმთავითვე მონაწილეებისთვის ამცირებს სერვისით სარგებლობის მოტივაციას და მათი ინტერესი პროფესიების მიმართ ერთგვარად „დამამცირებელიც“ კი ხდება.

[„ამ ბავშვებს კითხვის დასმა ერიდებათ პრეზენტაციაზე ასეთი დამოკიდებულების გამო. აქედან გამომდინარე, ხშირად ყოფილა როდესაც დამთავრებულა პროცესი მერე მოსულან და](#)

დაუსვამთ კითხვები მოსწავლეებს და მოუთხოვიათ ბუკლეტი. ეს დისკომფორტი მაინც არის და უხერხულად გრძნობს თავს მის კლასელებთან და მასწავლებლებთან მიმართებაში.“ თქვა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ პოფორიენტაციის მენეჯერა.

ცნობიერების დონე და დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ სერიოზული გამოწვევაა და საჭიროებს ინტენსიურ მუშაობას მიზნობრივ აუდიტორიასთან, რომ არსებული შთაბეჭდილება და მიდგომა შეიცვალოს.

პროგრამის მნიშვნელობას და საჭიროებას ერთმნიშვნელოვნად აღიარებს ყველა და ხაზს უსვამს, რომ -

- „ეს მიმართულება ბევრად უფრო სასარგებლოა და მნიშვნელოვანი ვილაცისთვის, ვიდრე პირობითად ქართული, მათემატიკა ან ფიზიკა. ეს პროფორიენტაციაა ცხოვრების. მეტი დრო უნდა ეთმობოდეს. შეიძლება ცალკე ტრენინგი დაინიშნოს. შეიძლება არ იყოს 45 წუთიანი საგაკვეთილო პროცესი და იყოს საათნახევრიანი პრაქტიკული პროცესი, თუნდაც სხვა გაკვეთილების ხარჯზე.

მოსწავლეების ტრანზიციის პროცესი პროფესიულ სასწავლებელში არ არის გართულებული, მაგრამ პროფესიულ სასწავლებელში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების და შშმ პირების შემთხვევაში მეტწილად არის დამოკიდებული მშობელზე პროფესიის არჩევა, ასევე სკოლის ფსიქოლოგებზე და ინკლუზიური განათლების მასწავლებელზე.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინფორმირებულობა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობაზე დაბალია და მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა და განხორციელებული ძალისხმევისა მათი მოტივაციაც დაბალია.

ამავდროულად, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან ხშირად დაბალია წინაპროფესიული მზაობა - ბაზისური აკადემიური და ფუნქციური უნარების განვითარების თვალსაზრისით, რაც აფერხებს პროფესიული განათლების მიღების პროცესში მათ ჩართულობას.

„აღნიშნული პროგრამა უნდა არსებობდეს და არამარტო მე-5 კლასიდან, არამედ ბალის ასაკიდანაც უნდა ხდებოდეს რაღაც დოზით ასეთი ინფორმაციის მიწოდება ბავშვებისთვის. ჩემ შვილს, რომელსაც დაუნის სინდრომი აქვს, უკვე ორი წელია ვუკითხავ გამარტივებულ წიგნს პროფესიებზე, რომელიც გაფერადებული და ვიზუალურად აღქმადია. არ ველოდები არც ბალს და არც სკოლას. თვითონ ვუხსნი ამ პროფესიების შესახებ. აქედან გამომდინარე, არამარტო დედა უნდა მუშაობდეს შვილთან, არამედ ბაღიდან უნდა ხდებოდეს ამის ახსნა. თუნდაც პირველ კლასში რატომ არ უნდა უხსნიდე მსუბუქად მოსწავლეს პროფესიებს.“
განაცხადა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელმა ფოკუს-ჯგუფზე.

„ჩემი შვილი საკამოდ ჭკვიანია, მაგრამ ჯერაც ვერ გადაუწყვეტია სად უნდა ჩააბაროს და რისი კეთება უნდა. იმისდა მიუხედავად, რომ მე ამ თემაზე ვესაუბრები უკვე დიდი ხანია. ბევრი პროფესიის შესახებ აქვს ინფორმაცია. როცა არ ელაპარაკები მითუმეტეს დაბნეულია ადამიანი და ვერ გადაწყვეტს ან არასწორად შეარჩევს პროფესიას.“ - ამბობს ერთ-ერთი შშმ პირის მშობელი. - აღნიშნავს მშობელი [ფოკუს ჯგუფზე](#).

„ამ ბავშვების მიმართ არის ძალიან ცოტა ყურადღება, არადა ეს ასე არ უნდა იყოს რადგან დაინტერესება ამ ბავშვების მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მომდინარეობს.“ - [თქვა ფოკუს ჯგუფზე სსსმ მშობელმა](#).

„ვერ ვიტყვი რომ არაფერი არ კეთდება. კეთდება, მაგრამ მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ არათანმიმდევრულად. ასევე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი კეთდება მხოლოდ პიარისთვის და არა იმისათვის რომ საქმე გაკეთდეს და რაღაც წინ წავიდეს. მე ვთვლი რომ უნდა იყოს ეს პროგრამები და უნდა გაძლიერდეს. მაგრამ მარტო ქალაქებზე დაწერილი კი არ უნდა იყოს. აი თუნდაც, როდესაც მიყავთ ექსკურსიებზე. იქ კი არ უნდა ჩამოატარო, არამედ უნდა აუხსნა ყველაფერი.“ - ამბობს ერთერთი მონაწილის მშობელი.

პროფესიული განათლებით დაინტერესებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები შეღავათებით სარგებლობენ და მათი ჩარიცხვის განსაკუთრებული პროცედურა მოქმედებს, რაც ძალიან კარგია. პროცესი გულისხმობს ასე ვთქვათ პროფესიის მოსინჯვას, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა სანამ ისინი განაცხადს გააკეთებენ გარკვეულწილად მოსინჯონ პროფესია. ეს პრაქტიკულად ხორციელდება ეს ყველა კოლეჯში, რომელსაც მიმართავენ და ამ კუთხით შეგვიძლია ვთქვათ რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილი არის მათი ინტერესების შესაბამისობა პროფესიის არჩევას.

„მე ვფიქრობ რომ ეს უფრო გამართულია ვიდრე ჩვეულებრივი სტუდენტებისათვის. ამის საშუალება მათ არ აქვთ. ისინი უბრალოდ ესე კითხულობენ აღწერას პროგრამისას ანოტაციას და შემდგომ იღებენ გადაწყვეტილებას ჩააბარონ ამა თუ იმ კოლეჯში ამა თუ იმ პროგრამაზე.“ ამბობს ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

მშობლების აზრით, ასევე პროცესში პრობლემას წარმოადგენს არასათანადოდ კვალიფიციური და მომზადებული თანამშრომელი, რომელსაც არ აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რომ მოსწავლეებს ხელი შეუწყოს პროფესიულ სასწავლებელში ტრანზაციის პროცესში და წინა პროფესიული უნარების გამოვლენაში.

იგივეს ადასტურებენ ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტები. ადამიანური რესურსი აღნიშნული სერვისისთვის ძალიან მწირია და ნაკლებად კვალიფიციური. მიუხედავად იმისა რომ მათ გაიარეს გადამზადების სპეციალური კურსი, აღნიშნული მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ისინი პროფორიენტაციის სპეციალისტებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

„კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები ქვიათ და პრობლემა იმაშია, რომ ეს ადამიანები არ არიან სპეციალობით კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები.“ - განაცხადა რესპონდენტმა.

„ადამიანური რესურსი სჭირდება ამ პროგრამების განხორციელებას. მე ვიცი რომ ეს მანდატურის სამსახურს ეხება და აქედან გამომდინარე ისინი სკოლას ძლივს უვლიდნენ და ამას როგორ უნდა გაწვდნენ. ანდა რამდენად კომპეტენტურია მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი.“ ამბობს მშობელი [ფოკუს ჯგუფზე](#).

„იდეაში ძალიან მოგვწონს, მაგრამ კარგად უნდა განხორციელდეს და ამისათვის მეტი და კვალიფიციური რესურსია საჭიროა. ჩემ შილთან მიმართებაში სახლში უამარავი ვინმე მყავდა ჩართული: სპეცილისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი და ასევე ოჯახის წევრებიც. განათლების სამინისტრომ უნდა მოახერხოს რომ ეს სკოლები უზრუნველყოს ცოტა მეტი დამხმარე პედაგოგებით.“ აცხადებს მშობელი [ფოკუს ჯგუფზე](#).

ასევე ერთ-ერთ პრობლემად სერვისის მიმღები და მიმწოდებლები თვლიან არასაკმარის და შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს. სერვისისთვის ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არ არის, შესაბამისად ცალკეულ სკოლებსა და სასწავლებლებზეა მინდობილი რა რესურსს დახარჯავენ პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებზე. შესაბამისად აღნიშნული განაპირობებს სერვისის არასასურველ ხარისხს. მაგალითად სასწავლო ვიზიტების განხორციელება საჭიროებს დამატებით თანხებს, ამის გამო სკოლების ცდილობენ უახლოეს ბიზნესერთეულებში დაგეგმონ ექსკურსიები, რომ თუნდაც მონაწილეთა ტრანსპორტირება ნაკლები ხარჯებით უზრუნველყონ.

„ცოტა მეტი თანხა უნდა დახარჯონ, ცოტა მეტი კი არა გაცილებით დიდი თანხა. სახემწიფოსთვის უფრო კარგი იქნება ეკონომიურად რაც უფრო მეტი განათლებული ადამიანი ეყოლება. ეს ეკონომიკურად რომ გამოვთვალოთ, მათ უფრო იაფი დაუჯდებათ, ვიდრე უსაქმური ხალხის შენახვა და ასევე სოციალურად დაუცველების რჩენა. სახელმწიფოს უნდა ერჩივნოს რომ ჩემი შვილი იყოს განთლებული და დასაქმებული ვიდრე მან მთელი ცხოვრება პენსია უხადოს. პირიქით რაღაც წვლილი უნდა შეიტანოს მის განვითარებაში.“ [განაცხადა სსსმ მშობელმა ფოკუს ჯგუფზე](#).

„სერვისის ძირითადი პრობლემა ამ ეტაპზე არის ფინანსური მხარე, რომ იყოს ადექვატური იმ სამომავლო ხედვასთან რა სტრატეგიითაც უნდა გაგრძელდეს პროგრამის განხორციელება. ერთ-ერთი რაც სრულყოფილ და საჭიროებებზე მორგებულად აქცევს პროგრამას არის კონსულტირების კომპონენტის შეტანა სკოლებში. მაგრამ აქვე დავამატებ რომ ეს ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად გუნდის ადექვატურ გადამზადებასაც საჭიროებს.“ ამბობს [ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტი.

ჩალრმავებულმა ინტერვიუებმაც ცხადყო, რომ მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა სამინისტროს მხრიდან და პროგრამის დანერგვისა, პროცესი არ არის დამაკმაყოფილებელი ხარისხის, რასაც რამოდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზი აქვს: საერთაშორისო გამოცდილების ნაკლებობა; პროფესიის არჩევის გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილება და „უმაღლესში ვერ მოხვედრის“ ალტერნატივა;

„დღეს პროფესიის არჩევა არის ცოტა ქაოტური, გაუთვითცნობიერებელი და არ არის ვთქვათ ადამიანის ინტერესებზე და უნარებზე, მისი მომავალი დასაქმების შესაძლებლობებზე მორგებული.“

ქვეყანაში არ არსებობს სისტემა რომელიც შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ტრენდებს გამოავლენს. ამიტომ პროფორიენტაციის მენეჯერის ეს მომსახურება არის, ასე ვთქვათ, ძალიან დაბალი ხარისხის. იმიტომ რომ გამართული სისტემა უნდა ემსახუროდეს შრომის ბაზრის ტრენდების ანალიზს.“- ამბობს ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

„პრაქტიკული შეხება არ აქვს მოსწავლეს იმ პროფესიასთან. თუნდაც მოსინჯვის საშუალება არ აქვს. თუ არ ჩავთვლით გარკვეული ტიპის ექსკურსიებს, რომელიც არის უბრალოდ დაკვირვება გარკვეული პროფესიული კვალიფიკაციის კუთხით.“- [გამოვლინდა ჩალრმავებული ინტერვიუს დროს.](#)

„დღეს თუკი უმაღლესში სამჯერ უფრო მეტი სტუდენტი ირიცხება, ვიდრე პროფესიულ განათლებაში ეს არის ნამდვილად დიდი გამოწვევა. იმიტომ რომ დასაქმების შესაძლებლობებს თუკი გადავხედავთ, ჩვენ ვნახავთ, რომ უახლოესი კვლევების შედეგები ასახავს, სწორედ ამას, რომ ბაზარზე უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს სწორედ პროფესიული კვალიფიკაციის ადამიანებს დასაქმების ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე პირებს.“

შესაბამისად, გამოწვევა არის ის რომ სწორედ ამ სერვისით და ამ მომსახურებით უნდა მოხდეს სტუდენტების და აპლიკანტების ზოგადად გაზრდა პროფესიული განათლების კუთხით. რაც სწორედ აქედან იწყება, სწორი ინფორმაციის მიწოდებით, სწორი პროფესიული ორიენტაციით.“ განაცხადა [ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტმა.

სოციალურ საწარმოში „ბაბალე“ განხორციელდა წინაპროფესიული მომზადების საპილოტე პროგრამა, რომელიც გულისხმობდა წინაპროფესიული უნარების განვითარებას, მშობლების მობილიზებასა და ინფორმირებულობას, ბუნებრივი დასაქმების ადგილებში სამუშაო ვიზიტებსა და სამუშაოს მოსინჯვას და ვორქშოფებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პილოტირების პროცესში ჩაერთო 20 მოზარდი აქედან 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე. შეხვედრები ტარდებოდა კვირაში სამჯერ ან კვირაში ორჯერ 2-3 საათის განმავლობაში.

პროგრამის ბენეფიციარების შეფასებით მას ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა ქონდა მათთვის და მათი შვილებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები სიხარულით და მაღალი მოტივაციით ჩაერთვნენ აქტივობებში. ყოველი შეხვედრიდან კმაყოფილები და დადებითი განწყობით ბრუნდებოდნენ.

„ნიკასთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა აქ სიარულს. იმიტომ რომ ძალიან უჭირს ურთიერთობა და აქ ისიც მოსწონდა რომ ბავშვებთან ქონდა ურთიერთობა აქედან გამომდინარე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროგრამაში ჩართულობა.“ [აღნიშნა მშობელმა ფოკუს ჯგუფზე.](#)

„ძალიან გახარებული და ბედნიერი მოდიოდა, საერთოდ ძალიან მორცხვია და ბავშვებთან ურთიერთობა უჭირს. რამოდენიმეჯერ როდესაც მოვიდა მერე უკვე შეეჩვია და დაუახლოვდა ყველას. ძალიან მოსწონს მას და სასურველი იქნება თუ კიდევ იქნება მსგავსი პროექტები.“ [განაცხადა „სოციალური საწარმო ბაბალეს“ ბენეფიციარის მშობელმა.](#)

„მე გამოვყოფ, ყოველთვის რაც ახლდა „ბაბაბალებში“ სიარულს - დამოუკიდებლობა. აი მაჩვენა ლიამ გიგოს ნამუშევრები. აზრზე არ ვიყავი თუ გიგოს შექმნილი იყო ესენი. არც უთქვამს ჩემთვის. როდესაც ვეკითხებოდი რა გააკეთე ბაბალებში, მპასუხობდა რომ მისი საქმე გააკეთა. სხვა პასუხისმგებლობით მიუდგა ამ ყველაფერს. ის ქმნიდა და აკეთებდა ნივთებს.“ [აღნიშნა „სოციალური საწარმო ბაბალეს“ ბენეფიციარის მშობელმა.](#)

საპილოტე პროექტში ჩართული პირები აცხადებდნენ, რომ პროფესიული უნარების განვითარებაზე არ მუშაობს სკოლა. ისეთი უნარების განვითარებაზეა საუბარი, როგორცაა: ფერების ცნობა, ფორმების ცნობა, საათის ცნობა, დროის მართვა, ფულის ერთეულების ამოცნობა და ფულის მენეჯმენტი. ამას სკოლა უნდა ასწავლიდეს და ამზადებდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს.

2. სერვისის ეფექტურობის და შედეგების შეფასება

პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის პროგრამის შედეგების შეფასება მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ რთულია, რასაც დრო სჭირდება და რეალური დასაქმების წარმატებული მაგალითები.

საჭიროა მიწოდებული სერვისი გაგრძელდეს და ხარისხი გაუმჯობესდეს. კარიერის დაგეგმვის სისტემა უნდა იყოს თანმიმდევრული და რესპონდენტების თქმით საჭიროა პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

„მნიშვნელოვანია, რომ პროფორიენტაციის და კარიერის სისტემა იყოს თანმიმდევრული, უწყვეტი და არა ერთჯერადი პროცესი. ყველა სამიზნე ჯგუფზე თანაბრად გათვლილი და ხელმისაწვდომი ნული ასაკიდან ბოლომდე. ჩვენი პროგრამა მორგებულია ერთ ვიწრო სამიზნე ჯგუფზე, ამ ეტაპზე მხოლოდ მეცხრე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს ვთავაზობთ ამ სერვისს.“ ამბობს [ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტი.

სერვისის ეფექტურობისთვის და წარმატებისთვის ცალსახად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ტენდენციების განსაზღვრა. შედეგად, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკავშირება უნდა მოხდეს შესაბამის პროფესიებთან.

„ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია სისტემაში ამ სერვისის დანერგვა. მანამდე არ არსებობდა მსგავსი ტიპის მომსახურება. თუმცა ნამდვილად არის გამოწვევები - პროფორიენტაციის მენეჯერების კუთხითაც არის პრობლემა. ქვეყანაში არ არსებობს სისტემა რომელიც შრომის ბაზრის ტრენდებზე იქნებოდა ინფორმაციის მიმწოდებელი. ამიტომ პროფორიენტაციის მენეჯერის ეს მომსახურება არის ასე ვთქვათ ძალიან დაბალი ხარისხის, იმიტომ რომ გამართული სისტემა უნდა ემსახურებოდეს შრომის ბაზრის ტრენდების ანალიზს.“
[განაცხადა ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტი.

მიმდინარე ეტაპზე ზემოთხსენებული გამოწვევების გამო პროგრამის შედეგები საშუალო ქულით შეფასდა რესპონდენტების მიერ. აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით პროფორიენტაციის სერვისი არათანაბარი ხარისხისაა სხვადასხვა საჯარო სკოლებში და მნიშვნელოვანი განსხვავებაა ასევე რეგიონისა და ქალაქის სკოლებს შორის. სკოლის „კეთილნებასა, სურვილსა და ფინანსებზე“ მინდობილი სერვისის მიწოდება, რასაც ზოგიერთი სკოლა მეტი მონდომებით, ზოგიერთი კი ნაკლებით ახორციელებს.

„სკოლები საჭიროებების მიხედვით განსხვავდებიან, სხვადასხვანაირია მოსწავლეთა ინტერესები და მოტივაცია ქალაქისა და რეგიონის სკოლებში. ასევე განსხვავებაა მცირეკონტინგენტიან და მრავალკონტინგენტიან სკოლებშიც. სამწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა რომ პროგრამა როგორც დაინერგა და მიმდინარეობდა საჭიროებს ჩასწორებას, რათა გახდეს ადეკვატური და პასუხობდეს სკოლების საჭიროებებს.“ - აცხადებს [ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტი.

პროგრამის ყველაზე დადებით შედეგად და წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს პროგრამაში ჩართული თუ დაინტერესებული პირების მიერ სერვისის მნიშვნელობის და საჭიროების

ერთმნიშვნელოვანი აღიარება. მაგრამ შეთავაზებული სერვისი ჯერ კიდევ საკმარის გავლენას არ ახდენს მიმღების გათვითცნობიერებულ და მტკიცებულებაზე დამყარებულ პროფესიის არჩევის გადაწყვეტილებაზე.

„ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ბევრი სკოლიდან აბსოლუტური და ძალიან მაღალპროცენტისანი დადებითი, პოზიტიური შეფასება პროგრამის. ის რომ პროგრამა მნიშვნელოვანი და აუცილებელია სკოლებისათვის. ის რომ პროგრამამ გავლენა მოახდინა მათ გადაწყვეტილებაზე. პრინციპში ყველაზე მნიშვნელოვნად სწორედ მოსწავლეების და მასწავლებლების დადებითი შეფასება მიმაჩნია ამ პროგრამის.“ ამბობს [ჩალრმავებული ინტერვიუს](#) რესპონდენტი.

რეალურ სამუშაო ადგილებთან პროფესიული განათლების დაკავშირება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დასაქმების ერთეული შემთხვევები, შეიძლება ითქვას პრენცენდენტები. არის ფაქტები, რომ პროფესიის დაუფლების შემდეგაც ვერ იწყებენ სტუდენტები სამსახურს და ისევ პროფესიულ კოლეჯში ბრუნდებიან სხვა პროფესიის დასაუფლებლად.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან - დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. მათი ჩართვა, როგორც პროფორიენტაციის პროცესში, ასევე პროფესიულ სასწავლებელში სტუდენტთა სწავლის პროცესში.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და პრაქტიკული აქტივობა ბიზნესში ექსკურსიები იყო, რომელიც არაჯეროვნად და არა ყველა სკოლაში გახორციელდა. ამ მომსახურების დახვეწა და სრულყოფაა საჭირო, რადგან მონაწილეს მხოლოდ დათვალეობის და დაკვირვების გარდა შეეძლოს კონკრეტული პროფესიის მოსინჯვა და საკუთარ თავზე გამოცდა.

„რატქმაუნდა, ეს არ არის განათლების პრობლემა - დასაქმების შესაძლებლობები როდესაც არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. თუმცა დღესდღეისობით სამინისტროში არსებული პროექტი, რომელიც ინკლუზიურ განათლებას კურირებს არის ძალიან აქტიური. თუნდაც დასაქმების მექანიზმებთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს რომ უფრო მეტად გაიზრდება რაოდენობა ადამიანების რომლებიც აქტიური იქნებიან შრომის ბაზარზე.“ [აღნიშნა ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტმა.](#)

ექსკურსიები მეორეს მხრივ არ ხორციელდება ყველა სკოლაში და არ იგეგმება მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების და სურვილების გათვალისწინებით. არამედ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საწარმოში, რომელიც თანახმაა უმასპინძლოს სკოლის მოსწავლეებს.

„სუსტი მხარე არის ის, რომ ყველა სკოლა არ არის მოცული ექსკურსიებით. რადგან ეს არის გარკვეულ ხარჯებთან დაკავშირებული და ბიუჯეტი რის საშუალებასაც გვაძლევს ეს არის და ისე იგეგმება.“ - ამბობს ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ტრანზიციის პროცესს, მიუხედავად წარმატებული პრეცედენტების არსებობისა მათი დასაქმება ჯერ კიდევ პრობლემად რჩება.

სოციალური საწარმო მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ ასეთი პირები დასაქმდნენ, მაგრამ არ არის საკმარისი. რადგან ეს უნდა იყოს მდგრადი და შემოსავლიანი. თუ არ ექნება სოციალურ საწარმოს შემოსავალი და შესაბამისად იქ დასაქმებულებს ჰონორარი ან ხელფასის სახით ანაზღაურება, ასეთი ინიციატივები მხოლოდ სოციალური სარგებლის მომტანად დარჩება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული უნარები და შესაძლებლობები არ იქნება ეკონომიკურად რეალიზებული. შესაბამისად ასეთი პირები ვერ შეიტანენ წვლილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და დარჩებიან სახელმწიფო სოციალურ პენსიებზე დამოკიდებულები.

ასევე პროფესიული ორიენტაციის და ზოგადად პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ გამოწვევად შესაბამისი ექსპერტის მიერ საკანონმდებლო ბაზის ცვლილება და განახლება დასახელდა, რაც ხშირ შემთხვევაში რთული პროცესია და არ მოდის სინქრონში რეალურ განხორციელებულ პროგრამებთან.

„რეფორმის განხორციელების პროცესში საკმაოდ რთულია საკანონმდებლო ბაზის განახლება და ცვლილება. ამიტომ ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად მეჩვენება, სერვისთან ერთად პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში საკანონმდებლო ბაზის მიყვანა იქამდე, რომ თანხვედრაში იყოს და პარალელურად მისდევდეს ქმედებებს. მხარს უმაგრებდეს იმ ხედვას, იმ რეფორმებს, იმ ნოვატორულ პროექტებს რაც ხორციელდება. არ იყოს ხელისშემშლელი ფაქტორი და არ აქცევდეს ამ სისტემას ჩიხში.“ [განაცხადა რესპონდენტმა ჩალრმავებული ინტერვიუს დროს.](#)

„ამ ეტაპზე სისტემა ძალიან ახალგაზრდაა. თანდათან დგამს ნაბიჯებს რომ მოხდეს კოორდინაცია ამ სხვადასხვა რგოლს შორის. გაკეთებულია საკომუნიკაციო პლატფორმა რომ თითოეულმა სუბიექტმა თანმიმდევრული და ლოგიკური ნაბიჯები გადადგას თავისი მიმართულებით. ეს არის და იქნება მნიშვნელოვანი პროგრამის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად და იმისთვის რომ ქვეყანაში არსებული ისედაც მწირი სერვისები ერთმანეთს ხელს არ უშლიდეს და ერთმანეთისგან ლოგიკურად გამომდინარეობდეს.“ [განაცხადა ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტმა.](#)

3. კვლევის მიგნებები და სერვისის გაუმჯობესების გზები

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისი ახალი დანერგულია განათლების სისტემაში და კვლევის შედეგების თანახმად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა და წარმატება არის სერვისში ჩართული და სერვისით დაინტერესებული პირების მიერ მისი ცალსახად დიდი მნიშვნელობის და საჭიროების აღიარება.

შესაბამისად, საჭიროა სერვისი გაგრძელდეს და იყოს თანმიმდევრული, ასევე პასუხობდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. სერვისი უნდა გახდეს უწყვეტი განათლების სისტემის ნაწილი, რომელშიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული არსებული და საერთაშორისო გამოცდილება და საუკეთესოდ აპრობირებული პრაქტიკები.

სერვისის ხარვეზები თვალსაჩინოა განხორციელების ეტაპზე, რომელთა ნაწილის აღმოფხვრა შედარებით მარტივია, ხოლო ნაწილის შემცირება მოსახლეობის დამოკიდებულებების ცვლილებას მოითხოვს, რაც რთულია და მეტ დროსა და წარმატებული მაგალითების არსებობას საჭიროებს.

დაბალი ინფორმირებულობა - ფოკუს ჯგუფებზე მოწვეული მშობლებისა და მოსწავლეების დიდი ნაწილი არ ფლობდა ინფორმაციას მსგავსი სერვისის არსებობის შესახებ. სერვისის შესაძლებლობის შესახებ მოსწავლეთა სწორი ინფორმირებულობა საჭირო და ასევე მათი მშობლების ჩართვაც პროცესში.

დაბალი მოტივაცია და მცდარი წარმოდგენა პროფესიული სწავლების მიმართ - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ არაერთი გამოკვლეული ჯგუფი, განსაკუთრებით სკოლის მასწავლებლები თვლიან, რომ პროფესიული განათლება მხოლოდ დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისთვისაა, რომელთა „ადგილი“ მაინც პროფესიულ კოლეჯშია. შესაბამისად, აღნიშნული დამოკიდებულება კიდევ უფრო ამცირებს მოსწავლეებისა და მათი მშობლების მოტივაციას სერვისით სარგებლობისთვის და მათი ინტერესი პროფესიების მიმართ ერთგვარად „დამამცირებელიც“ კი ხდება. აღნიშნულის აღმოფხვრა დიდ სირთულეებს უკავშირდება, რაც საბოლოო ჯამში მიდგომებისა და დამოკიდებულებების ცვლილებას საჭიროებს პირველ რიგში მასწავლებლების და სერვისის მიმწოდებლების მხრიდან. არ შეიძლება და არ უნდა აღიქმებოდეს პროფესიული განათლება მხოლოდ მათთვის „ვინც ვერ ახერხებს უმაღლესში ჩაბარებას“.

ცნობიერების დონე და დამოკიდებულება პროფესიული განათლების მიმართ სერიოზული გამოწვევაა და საჭიროებს ინტენსიურ მუშაობას მიზნობრივ აუდიტორიასთან, რომ არსებული შთაბეჭდილება და მიდგომა შეიცვალოს.

სერვისის მიწოდების არასათანადო ხარისხი რაც განპირობებულია რამოდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით: ნაკლებად კვალიფიციური ადამიანური რესურსებით, შეზღუდული ფინანსური რესურსებით, სერვისის მიწოდების დაბალი ინტენსივობით და პრაქტიკული და საინტერესო აქტივობების ნაკლებობით პროცესში.

პროფორიენტაციის მენეჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგები და შესაბამისი გადამზადება, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ისინი ჩამოყალიბებულიყვნენ კვალიფიციურ სერვისის მიმწოდებლებად. ამ მიმართულებით არარსებობს საუნივერსიტეტო განათლება და არც გამოცდილება ჯერჯერობით, შესაბამისად ამ სპეციალისტების მომზადება ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა მომსახურების წარმატებისთვის და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

არასაკმარისი და შეზღუდული ფინანსური რესურსები - სერვისისთვის ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არ არის, შესაბამისად, ცალკეულ სკოლებსა და სასწავლებლებზეა მიწოდებული რა რესურსს დახარჯავენ პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებზე. მაგალითად სასწავლო ვიზიტების განხორციელება საწარმოებში საჭიროებს დამატებით თანხებს, რისთვისაც სკოლა არ გამოყოფს ბიუჯეტიდან ცალკე თანხებს და ამის გამო იგეგმება ექსკურსიები ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. სასურველია გამოიყოს ცალკე ფინანსური რესურსები მომსახურებისთვის და დაიგეგმოს შესაბამისი აქტივობები ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სერვისის მიწოდების დაბალი ინტენსივობა - კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ განკუთვნილი დრო მომსახურებისთვის არ არის საკმარისი პროფესიების სრულად გააზრებისთვის და ინტერესების მოსასინჯად. თვეში ერთხელ და 45 წუთიანი შეხვედრა გაკვეთილის ხასიათის ნამდვილად არ არის საკმარისი აქტივობა.

პრაქტიკული და საინტერესო აქტივობების ნაკლებობა პროცესში - სერვისის მიმღებების და ექსპერტების და მასწავლებლების აზრით ყველაზე საინტერესო და სასარგებლო პროფორიენტაციაში არის განხორციელებული ექსკურსიები საწარმოებში, როდესაც მოსწავლეები ადგილზე ნახულობენ სამუშაო გარემოს, სამუშაოს და დამსაქმებლის მოთხოვნებს და მერე იღებენ გადაწყვეტილებას უნდათ თუ არა ამ საქმის კეთება. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ექსკურსიები არ ხორციელდება ყველა სკოლაში და ამ მხრივ განსაკუთრებით პრობლემატურია რეგიონის სკოლები. ასევე ექსკურსიები იგეგმება არა მოსწავლეთა უმრავლესობის და ინდივიდუალური ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით არამედ, ისეთ ადგილებში, რომელიც მეტად ხელმისაწვდომია. ასევე მნიშვნელოვანია სერვისში ისეთი აქტივობების ინტეგრირება თუნდაც ექსკურსიებზე, რომელიც მონაწილეს საშუალებას მისცემს თავად მოსინჯოს და გამოსცადოს ის სამუშაო რასაც უკავშირდება ესა თუ ის პროფესია. დამატებით სასურველია მომსახურებებზე „გესტსპიკერების“ მოწვევა და ჩართვა გამოცდილების გაზიარებისთვის და წარმატებული შემთხვევების გასავრცელებლად.

ყოველივე ზემოთხსენებულის მოგვარების ერთ-ერთ გზად მიჩნეულია პროფორიენტაციის ინსტიტუციური მოწყობა და გამართვა -

„ინსტიტუციურ მოწყობას რაც შეეხება, ცოტა გადასალაგებელიც არის. იმიტომ რომ მომსახურება დღეს შედის მანდატურის სამსახურის ფუნქციაში. თუმცა ვფიქრობთ, რომ ეს მომსახურება არ არის მხოლოდ პროფესიული განათლებისთვის საბაზისო საფუძველი. ანუ ეს არის ნებისმიერი ტიპის უმაღლესი იქნება თუ პროფესიული განათლების ორივე საფეხურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი. ამიტომ კარგი იქნებოდა რაღაც ცენტრალიზებული

ერთიანი რგოლის არსებობა, რომელიც გაუწევდა კოორდინაციას ამ მომსახურებას როგორც კოლეჯებში, ასევე სკოლებში და შემდეგ უკვე უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უკვე არჩეული აქვს სტუდენტს თავისი პროფესია. შემდეგ უკვე ტრანზიციისთვის შრომის ბაზარზე.“ - თვლის ჩადრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

პროფესიული განათლებით დაინტერესებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები შეღავათებით სარგებლობენ და მათი ჩარიცხვის განსაკუთრებული პროცედურა მოქმედებს, რაც ძალიან კარგია. პროცესი გულისხმობს ასე ვთქვათ პროფესიის მოსინჯვას, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა სანამ ისინი განაცხადს გააკეთებენ გარკვეულწილად მოსინჯონ პროფესია. ეს პრაქტიკულად ხორცილდება ყველა კოლეჯში რომელსაც მიმართავენ. თუმცა სერვისის ეფექტურობის შესაფასებლად საჭიროა კონკრეტული დასაქმების შედეგების არსებობა, რაც პრეცედენტულია და ძალიან იშვიათი განსაკუთრებით შშმ პირების შემთხვევაში.

სოციალურ საწარმოში „ბაბალე“ განხორციელდა წინაპროფესიული მომზადების საპილოტე პროგრამა, რომელსაც ძალიან კარგი უკუკავშირი და რეფლექსია მოჰყვა ბენეფიციარების მხრიდან. პროგრამის ბენეფიციარების შეფასებით მას ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა ქონდა მათთვის და მათი შვილებისთვის. მიუხედავად ამისა, მათი დასაქმება ჯერ კიდევ პრობლემად რჩება.

სოციალური საწარმო მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ ასეთი პირები დასაქმდნენ, მაგრამ არ არის საკმარისი. რადგან ეს უნდა იყოს მდგრადი და შემოსავლიანი ჩართული პირებისთვის. თუ არ ექნება სოციალურ საწარმოს შემოსავალი და შესაბამისად იქ დასაქმებულებს ჰქონდარი ან ხელფასის სახით ანაზღაურება, ასეთი ინიციატივები მხოლოდ სოციალური სარგებლის მომტანად დარჩება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების პროფესიული უნარები და შესაძლებლობები არ იქნება ეკონომიკურად რეალიზებული. შესაბამისად ასეთი პირები ვერ შეიტანენ წვლილს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და დარჩებიან სახელმწიფო სოციალურ პენსიებზე დამოკიდებულები.

სერვისის ეფექტურობისთვის და წარმატებისთვის ცალსახად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და ტენდენციების განსაზღვრა. შედეგად, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკავშირება უნდა მოხდეს შესაბამის პროფესიებთან. უნდა არსებობდეს შესაბამისი ორგანო - დასაქმების სამსახური, რომელიც უნდა სწავლობდეს შრომის ბაზარს და მაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ატარებდეს სამუშაოს მაძიებელსა და დამსაქმებელს შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და განათლების სისტემას შორის.

პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კერძო სექტორთან - დამსაქმებლებთან თანამშრომლობა. მათი ჩართვა, როგორც პროფორიენტაციის პროცესში, ასევე პროფესიულ სასწავლებელში სტუდენტთა სწავლის პროცესში.

ყოველივე ზემოთხსენებული უშედეგო და არამიზნობრივად გაწეულ ძალისხმევად დარჩება, თუ პროფორიენტაციისა და პროფესიული განათლების მქონე პირები არ დასაქმდებიან და დარჩებიან უმუშევრებად.

„შრომის ბაზრის მიმართულებით კვლევების განხორციელებას და განათლების სისტემის ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებზე მორგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არის არახალი პრობლემა, რომ განათლების სისტემა და ეკონომიკა ერთმანეთთან სინქრონში ვერ მოდიან ამ ეტაპზე. ანუ ეს პროცესები უნდა იყოს სინქრონული და გადაჯაჭვული ერთმანეთთან.“

პროგრამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ განათლების სიტემაში, არამედ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვისაც.“- აცხადებს ჩალრმავებული ინტერვიუს რესპონდენტი.

დანართები

დანართი #1 - ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპონდენტთა ჩამონათვალი

პოლიტიკის განმსაზღვრელები (განათლებისა და მეცნიერებების სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები)	
სახელი, გვარი	პოზიცია
ირინა წეროძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, დეპარტამენტის უფროსი. (განათლების სამინისტრო)
თამარ სამხარაძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, პოლიტიკის სამმართველოს უფროსი. (განათლების სამინისტრო)
ხატია ნადარაია	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი (განათლების სამინისტრო)
ანა დიაკონიძე	"დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების" პროექტის ექსპერტი
ელზა ჯგერენაია	შრომისა და დასაქმების დეპარტამენტის უფროსი (ჯანდაცვის სამინისტრო)
ნინო ბურდული	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური
ნუცა ბასოლიანი	მხარდამჭერთი დასაქმების კონსულტანტი
მარიამ ადეიშვილი	მხარდამჭერთი დასაქმების კონსულტანტი
თეა ტყემალაძე	პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი
თამარ ჭაბუკიანი	პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი
ანა ქიტიაშვილი	პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის კოორდინატორი
ნინო რუხაძე	ექსპერტი

დანართი #2 - ჩაღრმავებული ინტერვიუს სახელმძღვანელო:

1. გთხოვთ შეაფასოთ მიმდინარე მდგომარეობა პროფორიენტაციისა და წინა პროფესიული სერვისების კუთხით. დააზუსტეთ, რა არის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პროირიტეტები და ყველაზე აქტუალური გამოწვევები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეებთან მიმართებაში?
2. როგორ შეაფასებდით შემდეგ პროგრამებს: 1. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა; 2. წინა პროფესიული განვითარების სერვისი (საპილოტე პროგრამა); *(მოდერატორს: მე-2 პროგრამა არ შეაფასებინოთ მანდატურის სამსახურის წარმომადგენელს; ორივე პროგრამა უნდა შეაფასდეს სამინისტროს წარმომადგენლის მიერ)*
3. რამდენად არის პროგრამით განსაზღვრული მიზნები მიღწეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონეებთან მიმართებაში?
4. რა ძირითადი გამოწვევებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის პირების ტრანზიციის პროცესში?
5. აღნიშნული პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, თქვენი აზრით რა იყო ყველაზე წარმატებული მაგალითები და რა მიმართულებით შეიძლება გაუმჯობესდეს (პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები)?
6. რა ტექნიკური ბარიერები არსებობს აღნიშნული სერვისების მიწოდებისას და არსებობს თუ არა ხედევა/გეგმა ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად?
7. რამდენად დიდია მოთხოვნა და საჭიროება ამ ტიპის სერვისებზე?
8. გთხოვთ გაგვიზიარეთ თქვენი შეფასებები პროგრამის კომპონენტების ეფექტიანობასთან დაკავშირებით (წინა პროფესიული უნარების განვითარება; მშობლების მობილიზება და ინფორმირება; ბუნებრივ დასაქმების ადგილებში სამუშაო ვიზიტები, სამუშაოს მოსიზჯვა; ვორკშოპები)?
9. მასწავლებლის მიერ სასწავლო საინფორმაციო შეხვედრები რამდენად ეფექტიანი იყო და ხომ არ არის დამატებითი ინსტრუმენტების ამოქმედების საჭიროება?
10. როგორია სერვისის მიმღებ პირთა აღქმა და დამოკიდებულება (ხომ არ არის საჭირო დამატებითი ცნობიერების ამაღლების კამპანია)?
11. რა ნაბიჯები იგეგმება პროფესიული ორიენტაციის სერვისის განვითარებისათვის? *(მოდერატორს: ეს კითხვა დაუსვით სამინისტროს წარმომადგენელს და მანდატურის სამსახურის წარმომადგენელს)*
12. რა ნაბიჯები იგეგმება წინა პროფესიული განვითარების სერვისის მიწოდების გაუმჯობესებისათვის (გახორციელების მასშტაბის ანდა კონპონენტების კუთხით)? *(მოდერატორს: ეს კითხვა დაუსვით სამინისტროს წარმომადგენელს)*
13. რა დამატებითი პოლიტიკა (მიზნობრივი პროგრამები/ საკანონმდებლო ცვლილებები/პროექტები) შეიძლება განახორციელოს სახელმწიფომ ამ ტიპის სერვისების ფართო მასშტაბიან მიწოდებისათვის?
14. იგეგმება თუ არა დამატებითი მსგავსი ტიპის ან ხასიათის პროგრამების განხორციელება, დააკონკრეტეთ?

დანართი #3 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო - მასწავლებლები

1. ზოგადად როგორ შეაფასებდით პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამას?
2. რამდენად არის განსაზღვრული მიზნები მიღწეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში?
3. რა ძირითადი გამოწვევებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის პირების ტრანზიციის პროცესში?
4. თქვენი აზრით რა იყო ყველაზე წარმატებული მაგალითები და რა მიმართულებით შეიძლება გაუმჯობესდეს (პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები)?
5. რა ძირითადი ცვლილებები მოხდა ამ პროგრამების გახორციელების შედეგად?
6. თქვენი პროგრამის ფარგლებში დაკისრებული ფუნქციების მაქსიმალურად შედეგიანად განხორციელებისათვის რა დამატებითი ინფორმაციის და უნარ ჩვევების მიღება გესაჭიროებათ?
7. როგორ შეაფასებდით მშობელთა დამოკიდებულებებსა და საჭიროებებს ამ პროგრამების მიმართ?
8. რამდენად დიდია მოთხოვნა და საჭიროება ამ ტიპის სერვისებზე?
9. თქვენი აზრით არის თუ არა დამატებით ანალოგიური ხასიათის სერვისებზე მოთხოვნა; დააზუსტეთ?
10. რა ტექნიკური ბარიერები არსებობს აღნიშნული სერვისების მიწოდებისას?
11. მასწავლებლის მიერ სასწავლო საინფორმაციო შეხვედრები რამდენად ეფექტიანი იყო და ხომ არ არის დამატებითი ინსტრუმენტების ამოქმედების საჭიროება?
12. თქვენი რჩევები ამ პროგრამების გაუმჯობესების კუთხით.

დანართი #4 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო - სერვისის მიმღებები (მოსწავლეები და მშობლები)

1. როგორ მიიღეთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ?
2. გაგვიზიარეთ თქვენი გამცდილება პროგრამაში მონაწილეობის პროცესთან დაკავშირებით?
3. ზოგადად როგორ შეაფასებდით შემდეგ პროგრამებს: 1. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვა; 2. წინა პროფესიული განვითარების სერვისი (საპილოტე პროგრამა);
4. რამდენადარის განსაზღვრული მიზნები მიღწეული თქვენს საჭიროებებთან მიმართებაში (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან)?
5. თქვენი აზრით რა იყო ყველაზე წარმატებული მაგალითები და რა მიმართულებით შეიძლება გაუმჯობესდეს (პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები)?
6. რა ცვლილებები მოხდა თქვენს ცხოვრებასა და დამოკიდებულებებში ამ პროგრამების გახორციელების შემდეგ?
7. რაოგორია თქვენი დამოკიდებულებები და საჭიროებები ამ პროგრამების მიმართ?
8. თქვენი აზრით არის თუ არა დამატებით ანალოგიური ხასიათის სერვისებზე მოთხოვნა; დააზუსტეთ?
9. მასწავლებლის მიერ სასწავლო საინფორმაციო შეხვედრები რამდენად ეფექტიანი იყო და ხომ არ არის დამატებითი ინსტრუმენტების ამოქმედების საჭიროება?
10. თქვენი რჩევები ამ პროგრამების გაუმჯობესების კუთხით.

დანართი #5 - ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების გადანაწილება საკვლევი აუდიტორისა და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით

#	საკვლევი ჯგუფი	მონაწილეთა რაოდენობა
1	სოციალური საწარმო „ბაბალე“ (მოსწავლეები და მათი მშობლები)	8
2	სოციალური საწარმო „ბაბალე“ (სერვისის მიმწოდებლები)	8
3	საჯარო სკოლების მოსწავლეები და მათი მშობლები	8
4	საჯარო სკოლების მასწავლებლები (სპეც. მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები)	8
5	საჯარო სკოლების მასწავლებლები (სპეც. მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები)	8
6	საჯარო სკოლების მასწავლებლები (სპეც. მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები)	8
7	საჯარო სკოლების მასწავლებლები (სპეც. მასწავლებლები და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები)	8
8	პროფესიული სასწავლებლების და საჯარო სკოლების მასწავლებლები.	8